№ 24 იანვრის 31, ხუთშაბათი. 1866—1885 იანვრის 31, ხუთშაბათი. № 24

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრულიად განსაკუთრებული გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილი ადგილის ჯვლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაშეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; ბოლნისში — აღალო თუთაევთან.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

სამაგალითო ხალხის არა სამაგალითო ქცევა

თბილისი, იანვრის 31-ს.

ექიმი და მღვდელი ერთიაო, ამბობს ჩვენი ხალხი და ამ თქმულობის საბუთის პოვნა ძნელი არ არის. ექიმს ავადმყოფმა უნდა უამბოს ყოველივე თავის საჯდომლო, აღსარებასავით გაუტყდეს ყოველსავე თავის შეცდომაში, ნებსითში, თუ უნებლიეთში, თვალ-წარბში შემაცქერალმა უნდა ამოიკითხოს იმის სახეზედ იმედი საუკეთესო მომავლისა, ან ნიშანი სასო-წარკვეთილებისა. ექიმის ხნეობრივი გაელენა ავადმყოფზე ძლიერია და ბევრს შეუძლიან მოიგონოს იმისთანა მაგალითები, როდესაც ექიმის ერთს გულ-შემატკივარს სიტყვას განუთავისუფლებია ავადმყოფი რომელიმე სატკივარისაგან.

ძარგი ექიმი მამაა ხალხისა. თუ იგი ხნეობრივად ისე მაღლა სდგას, რომ თავის დანიშნულებას წინ აყენებს ყოველსავე სოფლიურ სიკეთეზედ, ხალხი მას თავის მფარველად სახავს და ისეთს ღრმა პატივსცემასა გრძნობს მისდამი, რომელიც გაგებულის კაცისათვის ყოველს ჯილდოზედ უძვირფასესია. სამაგიეროდ, თუ ექიმს თავის კერპად ვერცხლი გაუხდია და ამ ვერცხლის რაოდენობით აფასებს თავის რჩევასა და შეწევნას, თუ იგი მზა არის ხელი შეუწყოს და ნუგეში მისცეს მხოლოდ იმას, რომელიც ამ ხელის შეწყობისა და ნუგეშის მიცემისათვის მეტს გამოიმეტებს, ან უკედ ვსთქვათ, მეტის გამომეტება შეუძლიან,—მაშინ იგი ჰკარგავს თავის ზნეობითს გაელენას და ავადმყოფიც მას შეჰყურებს, როგორც იმ ერთს კბილის ექიმს, რომელიც აცხადებდა, რომ კბილს აუტკივებლად ხუთ მანათად ვაძრობ და ატკივებით სამს მანათადაო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით რომ ჩვენის დედა-ქალაქის თბილისის ექიმები, რომელნიც გზის მაჩვენებელნი უნდა იყვნენ პროვინციალურ ექიმებისათვის, კარგად ჰგრძნობდენ თავიანთ დანიშნულებას და იმას, თუ რა დიდი გაელენა აქვს ავადმყოფებზედ მკურნალის ზნეობრივს სურათს. ზერედ კიდევ დაუსრულებელი ყაყანი სურგუნოვის ცოლის სიკვდილის გამო აშკარა საბუთია ჩვენის აზრის სიმართლისა. ერთი ექიმი მეორეს აბრალებს იმას, რომ მან ვერ გაიგო ავადმყოფობის მიზეზი და თვისის უყარგისი წამლობით ავადმყოფს სიკვდილი მოუსწრაფა. ბრალდებული სჩივის თავის ამხანაგებში ამ გვარს უგვანს ქცევაზედ და ამხანაგობა ერთხმად ჰკიცხავს ცოლის-მწამებელს. ცილ-შეწამებული არა სჯერდება ამხანაგების განაჩენს და გადააქვს საქმე სასამართლოში, სადაც დიდ-ძალი ხალხის წინაშე აცხადებს: თუ მოპირდაპირე იტყვის, რომ იმას არ უნდოდა ჩემი შეურაცხება, მე საჩივარზედ ხელს ვიღებო. მოპირდაპირეც, რასაკვირველია, იმას ამბობს რომ მე სრულებითაც შეურაცხება არა მსურვებიაო და სიჭმე მორიგებით ისპობა.

ჩვენ არ გავჩერდებით იმაზედ, რომ ამ საქმეს ორპირული ხასიათი მიეცა: თუ კი ექიმი ძასპარიანცი მართლა დამნაშავე იყო ამხანაგისადმი ცილის შეწამებაში, იგი ღირსეულად დაისაჯა ექიმების წოდებისაგან და ღირსეულადვე უნდა დასჯილიყო სასამართლოშიაც; მაგრამ თუ ექიმმა ანანოვმა და ბარალეევიჩმა იგი ბრალდებულად არ იცნეს სასამართლოში და მორიგებით საქმის გათავებას რჩევობდენ, მაშ რაღად გამოასალმეს ქვეყანას და რად მიაყენეს შეურაცხება მთელს საზოგადოებაში; ან ყველა ექიმებმა რად იცნეს იგი ულირსად ექიმობის წოდების ტარებისა. ჩვენ არ გავჩერდებით ამაზედ და მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას მხოლოდ თვით საქმის შინაგანს მხარეზედ. ამ შინაგანს მხარეს, სამწუხაროდ, საფუძველად ისევ ის დაწყეველილი ვერცხლი უნდა ჰქონდეს, რომელიც ჩვენს საუკუნეში კაცს გმირობის ფრთებს აკვეცავს და დედა-მიწის ზედა-პირიდამ მაღლა არ აცილებს. ერთი ექიმი მეორეს უცოდინარობასა სწამებს, მეორე პირველს უსინიდისობას და ბოლოს, თითქო ისე გამოდის, რომ ორნივ ერთმანეთს ამ გვარის თვალით იმიტომ უყურიან და ასე იმიტომ ამკობენ ერთმანეთს, რომ სხვის ავადმყოფები თვითონ გადიბირონ, სხვის ლუკმა თვითონ ჩაიგდონ ხელში.

ასეა დალოცვილს თბილისში და, რა თქმა უნდა, ასევე იქნება ჩვენს დალოცვილსავე პროვინციებში. თუ თბილისის ზოგიერთი ექიმები ვერცხლის-მოყვარეობის გულისთვის ერთმანეთს ტალახში სთათხავენ და არავითარს საგინებელს სიტყვებს არ ერიდებიან, უფეველია პროვინციალური ექიმებიც მათს მაგალითს მიბაძვენ და ისინიც მათსავით ვერცხლის კერპთ-მსახურებად გადაიქცევიან.

ურიცხვი კორესპონდენციები, რომელნიც თბილისურ გაზეთებში იბეჭდება, ამ ფაქტს თვალსაჩინოდ ამტკიცებენ. ჩვენს მიყრუებულ მაზრებში მიმალული ესკულაპები, გარდა ათში ერთისა, არა ჰკადრულობენ თურმე ღარიბს ავადმყოფს და თავიანთ ხილეთ მხოლოდ მდიდრებს აბედნიერებენ. „როგორიც მღვდელია, ისეთი ერიო“, ტყუილად კი არ არის ნათქვამი და ჩვენს საექიმო წოდებას შეუძლიან ამ ანდაზას ერთი გამამართლებელი საბუთი კიდევ მიუმატოს.

«დროების» ფელეტონი, იანვ.-31ს

ეტნოგრაფიული წერილები

ათხაზეთი

წერილი მეცხრე

(დასასრული *)

პირველის გოდების შემდეგ დაიწყება მოთქმით ტირილი. ბამოვა პირველის რაზმიდამ ერთი უმახლობელესი მიცვალებულის ნათესავთაგანი და იმ გვარის სულისა და გულის შემაწუხებელის ლექსით მოსთქვამს, რომ ძნელია კაცმა თვალთაგან ცრემლი შეიმაგროს; ამას მიუგებს მეორე რაზმის ნათესავთაგანი; სხვანი სხვედან თავ-დახრილნი და წყნარად სტირიან.

აგერ შორიდგან მოისმის საზარელი ხმა-მაღალი გოდება. მსენი არიან სატირლად მოსულნი მამა-კაცნი. ამათ უპასუხებენ ამგვარისავე გოდებით. სახლის გარეშე ჰსდგანან რამდენიმე კაცნი, რომელნიც მოვალენი არიან შეიყვანონ მომტირალნი მამა-კაცნი.

დიდნი და პატარანი, კაცნი და ქალნი—ყველანი შავით შემოსილნი არიან.

ახლა მოდიან სხვანი:

პირის-სახე დაკაწრული და დაუსახურებული აქვთ, ხმა წასული გულმწვავი ტირილისაგან; იცემენ მედგრად ქვას პირსა და გულზედ და თუ სხვამ ხელი არ დაუჭირა და ნებაზედ მიუშვა, ეგონებ, ცოცხალნიც ველარ გადარჩებიან. მსენი არიან ძიძა მიცვალებულისა და მისნი მონათესავენი. ძაძა მათი სქელი ტილოსი და ყვითელ-ფერ ჩართულია.

ძიძა და მონათესავენი მისნი მოვალენი არიან ამ გვარს ძაძაში იარონ მთელი წლისა, ანუ ორი წლის განმავლობაში და შემდგომ მხოლოდ შეუძლიანთ გამოიცვალონ და შავი ძაძა ჩაიცვან. ბარდა ამისა, ძიძის ქმარი და მონათესავენი თმას აღარ მოიკვეცენ რამდენსამე წელს. როცა დიდი თმა გაეზდებათ, რამდენსამე ნაწნავად დაიწნავენ და ისე დადიან შინ და გარეთ საზოგადოებაში. შეკვეცას, ლხინს, ქორწილს და სიმღერას მთლად მოსპობენ თავიანთ სახლში.

დედა-კაცები, ნიშნად დამდაბლებისა და საზოგადოებაში გარეული უსურველობისა გულის გადასაყოლებლად, მოიკვეცენ თავიანთ მშვენიერ თმის ნაწნავებს და ჩაატანებენ კუბოში მიცვალებულს.

შემდეგ, როდესაც გამოსვენების დრო მოვა, ატყდება კიდევ უარესი ტირილი, თავში ცემა, გოდება და ვაება. ეჭიდებიან კუბოს, აღარ ანებებენ სახლიდგან გასვენებასა და უმეტესად მიწაში ჩასვენებას. როდესაც დიდის მეცადინეობით გამოასვენებენ, მაშინ მამა-კაცნი წინ მიუძღვებიან, ხოლო დედა-კაცნი უკან თმა-გაშლილნი მისდევენ. მიცვალებულის გამოსვენების შემდეგ, მაშინათვე აბრეშუმის გრეხილს შემოარტყმენ იმ სახლსა, სადაც იყო მიცვალებული. ამ ჩვეულებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცოცხლები დაცულ იქმნენ მსგავსის სიკვდილისაგან და რომელიმე მათგანი აღარ შეუდგეს მალე მიცვალებულის კვალსა.

დასრულდა დასაფლავება. შემდგომ უხვს სმა და ჭამისა, სტუმრები წავლენ და წამოვლენ. უმახლობელესნი მონათესავენი, განსაკუთრებით ძიძა თავისის ასულით, ყოველს კვირას მოდიან, სადაც მიცვალებული დამარხულია და სტირიან. ამ დროს არ ივიწყებენ თავიანთ ძველს მიცვალებულებსაც და გაუყოფენ მათაც თავიანთ ცრემლსა.

საბრალო ქმარი ხშირად ვერ ჰბედავს ტირილს თავის ცოლზედ. თა-

*) იხილე „დროება“ № 22.

შინაური ქრონიკა

═ ბათუმის ქრისტიანთა მალაზიების შაგირდებსა და დახლიდარებს უთხოვნიათ იმერეთის ყოველად-სამღვდელო გაბრიელისათვის, რომ მიაქციოს ყურადღება მათს გაჭირვებულს მდგომარეობას კვირის შვიდივე დღის განმავლობაში სრულიად დაუსვენებლად მუშაობის გამო. ,,არც ერთს საუფლო და სხვა დღესასწაულებში, არც ერთს კვირა დღეს მალაზიის პატრონები არ გვაძლევენ შესვენების ნებას, რამდენიმე საათით მაინც. ვთხოვთ თქვენს ყოველად-უსამღვდელოესობას სარწმუნოების ინტერესისათვის ისე მოაგვაროთ საქმე ჩვენსა და ჩვენთ ბატონთ შორის, რომ კვირაობით და საუფლო დღესასწაულებში, რამდენიმე საათი მაინც მოგვცენ, რომ შეგვეძლოს ეკლესიაში წირვის მოსმენა და ლოცვაო.

ამ საქმის სარწმუნოებრივს მხარესაც რომ თავი დავანებოთ, მარტივი კაცობრიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ მალაზიებში მსახურს, ყოველს მშრომელს ადამიანს, მაშინასავით კი არ ამუშავებდენ, არამედ აძლევდენ ყოველ სამუშაო დღე და ღამეში ორს საათს პურის ჭამისათვის და რვა საათს ძილისათვის, ხოლო მეშვიდე დღეს თავისუფალნი იყვნენ შრომისაგან; ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოში ეს კანონადაც არის დადებული, და მისს დამრღვევს დაუყოვნებლივ სჯის მართლ-მსაჯულება საგრძნობის ჯარიმით. სასურველია, რომ ასე დაეკანონებდენ შრომის საათებისა და დღეების რიცხვს მალაზიებსა და დუქნებში მოსამსახურე პირთა ზნეობითის და სარწმუნოებრივის ინტერესებისათვის.

═ მოწინავე ხალხთა სოფლებში მცხოვრებლებმა — ქალაქებზე არას ვამბობთ — დიდი-ხანია სცნეს აუცილებელი საჭიროება ურთი-ერთ შორის დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსებისა და დააარსეს კიდეც. ბევრ გვარია ურთი-ერთ შორის დამხმარებელნი საზოგადოებანი; მათ შორის არის ცეცხლის ზიანის მზღვეველი საზოგადოებაც, რომელსაც, მეტადრე ამ ბოლო დროს, ერთობ საჭიროებენ ჩვენი სოფლელები. ჩვენი გაზეთის მე-21 №-ში დაბეჭდილი იყო, რომ სოფ. ქარელში რამდენიმე გლეხთა ქონება გადამწვარა უბედური შემთხვევისაგამო გაჩენილის ცეცხლისაგან; დღეს მივიღეთ წერილი ქუთ. მაზრის სოფ. ოკბიდგან, ეს წერილი გვაცნობებს, რომ იქაც ღამით გაჩენილის ცეცხლისაგანვე განადგურებულა მთელი ქონება გლეხის ბრ. მაჩიტაძისა: ხარები, 100 ბათმანი პური, 300 ბათმანი სიმინდი, 100 ცალი ფიცარი და სტუმარ ჩარვადრების ოთხი ცხენი ალის მსხვერპლი შექმნილა. საწყალი მაჩიტაძე, რომელიც, როგორც ზემოდ აღწერილ ზარალიდან სჩანს, აქამდის შეძლებული მოსახლე ყოფილა, ამიერიდგან სამუდამოდ თუ არა, კაი ხნით მაინც ბოგანოდ უნდა დარჩეს. ეს კი ასე არ იქნებოდა, რომ ჩვენს სოფლელებსაც ჰქონდეთ იმისთანა საფუძვლებზე დამყარებული ურთიერთს შორის ცეცხლის ზიანის მზღვეველი საზოგადოება, როგორიც ყოველ განათლებულს ქვეყანაში და რამდენიმე გუბერნიაში რუსეთშიაც არის. დროა, ჩვენი სოფლელნიც, თავადაზნაურობა თუ გლეხნი, შეუდგებოდენ ამ გვარს საზოგადოების დაარსებისათვის ხრუნვას...

═ საფრანგეთის ინჟენერს მასკელეს, რომელიც მოწვეულია ქალაქის გამგეობისაგან თბილისში წყლის გამოყვანისათვის აღსასრულებელი პროექტის შესადგენად, უკვე დაუხედავს ავჭალის წყაროები და მოუწონია ქალაქისათვის წყაროს წყლის გამოყვანა, როგორც სრულიად რაციონალური საქმე. ამ ჟამად მასკელე იხილავს იმ ფაქტებს, რომელნიც ქალაქს მოუგროვებია მოხსენებულ წყაროების გამოკვლევის დროს, და აგრეთვე წყლის გამოყვანის გამო წარმოდგენილ პროექტებსაც.

═ გასულ კვირას ქალაქში მოხდა თბილისის ხელოსანთა თავის არჩევა. ამოირჩიეს იგივე ძველი თავი ბ. ნაუმენკო და მისს კანდიდატად ბ. ქოვალიოვი.

═ ,,ნოვოე ობოზ.“ სწერენ ზუგდიდიდან, რომ მომავალი თებერვლის ათს იქ მოხდება ადგილობრივის თავადაზნაურობის კრება. იგივე კორესპონდენტი იწერება, რომ იანვრის 10 ს ზუგდიდის მაზრაში ეოფილა ფრიად საგრძნობი მიწის-ძვრა დილის 7 და 8 საათის შორის.

═ ამ დღეებში ქალაქის გამგეობისაგან დანიშნულს ტეხნიკურს კომისიას გამოუცდია გერისხიდი, თუ რამდენს სიმძიმეს იტანს იგი. ხიდის თავის ზემოდ, ტროტუარზე, დაუყრიათ 15 გოჯის სისქეზე მიწა და ხიდის შუა გულზე კი დაუწყვიათ წყლით სავსე კასრები 10,000 ფუთის სიმძიმე. აღმოჩენილა რომ ამ სიმძიმისაგან ხიდს ნახევარი გოჯი დაუწევია. კიდევ შეამოწმებენ ხიდს მეორე თვის ზემოდ. ხიდის გურთხევა თებერვლის სამს მოხდებაო. (,,ბ.ვ.“)

„დროების“ კორესპონდენცია

სამეგრელო, იანვრის 17-ს. არა ერთხელ უჩივლიათ ქართული და რუსული გაზეთების ფურცლებზედ სხვა-და-სხვა მხარეებიდგან იმაზედ, თუ როგორის ვულ-აცრუებით ექცევიან მაზრის ექიმები ხალხს და არ ასრულებენ სინიდისიერად თავიანთს პირდაპირს მოვალეობას. სამეგრელოს ერთ-ერთს მაზრას დიდი ხანია არ ღირსებია რიგიანი ექიმი და თუმცა ბევრი გაჭირვება გამოუვლია ამ მხრით, მაგრამ არასფერი გამოცხადებულა ამის თაობაზე რომელიმე გაზეთს შემწეობით. ბევრი შემაძრწუნებელი შემთხვევანი, რომლებიც მოხდა ამ მოკლე დროში ბ. მაზრის ექიმის წყალობით და დაუდევნელობით, მაიძულებენ ესთქვა ორიოდე სიტყვა მაზედ და მისს ურიგო ქცევაზე ჩვენს მივარდნილ კუთხეში. მაზრის ექიმად არის დანიშნული ეს ოთხი თვეა ბ. X რომლის განწესება სასიხარულოდ დაურჩათ ზოგიერთებს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბ. ექიმი აღმოჩნდა მეტის-მეტი ანგაარების მოყვარე კაცი, რომელსაც თავის ცხოვრების მიზნად დაუდვია ფულების მოგროვება და არასფრის გაკეთება, რის დამტკიცება ფაქტიკურადაც შემიძლიან. ეს ბ. ექიმი არის მოწოდებული ერთს სასწავლებელში ექიმად და ეძლევა თავის შრომისთვის ჯამაგირი. ბ. ექიმს ვერ შეუგნია, რომ ის არის დანიშნული სასწავლებლის ექიმად არა მარტო სახელისათვის, არამედ ყოველთვის უნდა მისცეს შემწეობა ავადმყოფ შაგირდებს და არ დაიზაროს მათი ნახვა საჭიროების დროს. შობამდის შეიქნა ავად პირველი მოსამზადებელი კლასის ერთი მოსწავლე. ამ დროს ბ. ექიმი არ იყო მაზრის ქალაქში; არც ფერშალი ჰყვანდა და არც ეხლა ჰყავს სასწავლებელს ბ. ექიმის წყალობით. სასწავლებელის სამმართველოს იმოდენი შეძლება არ აქვს, რომ ამისთანა შემთხვევებში დოქტორები დაიბაროს ქალაქებიდგან. რაოდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა ბ. ექიმი, რომელსაც მასწავლებლებმა მიმართეს, რომ ენახა ავადმყოფი უმაწვილი. ბ. ექიმმა უარი განაცხადა წასვლაზე, რადგანაც დაპატიჟებული იყო მეზობლისას. შემდეგ მასწავლებლებმა გაგზავნეს ექიმთან თვითონ მამა ავადმყოფის შეგირდისა, რომელმაც ცრემლით მიმართა რომ შესულიყო მისს მდგომარეობაში და მიეცა საწყალი

ვადი ᲘᲘზილბეგი, როდესაც მომეტებული მწუხარება მოთმინებას უსპობს, მიიმალება მოშორებით სადმე, რომ ვერავინ დაინახოს, როგორა ღვრის იგი მწარე ცრემლებს თავის საყვარელის მეუღლის გამო.

ხსენება მიცვალებულისა იმით გამოიხატება, რომ სადილისა და ვახშმის დროს, სუფრაზედ დააწყობენ მისს სახმარს მოწყობილებას და შესახვედრს კერძს, დაუდგამენ სავსე ღვინის სტაქანს და შემდგომ ცოტას თავს წაუქცევენ ღვინოს და მოიხსენებენ მიცვალებულის სულსა.

მეორმოცე დღეს აღაპს გაუკეთებენ, ხოლო წლის თავს, ანუ ათი თვის შემდგომ, აღასრულებენ გამოტირილსა. გამოტირილის დროს მიცვალებულის სახლში გაჰფენენ მისს ტანისამოსს და ნივთებს და იმაზედ სტირიან. იმ დღეს ცხენის ჭენებითაც მოიხსენებენ მიცვალებულის სიმამაცესა და გმირობას.

შემდგომ მოხუცებულის ჩიჩის სიკვდილისა, მის ადგილს დაიჭერს ყმაწვილი ცოლი Oამშულისა, Eსმახანუმ, მაგრამ სიწყნარეს იგი თავს არ ანებებს და უწინდებურად ექცევა თავის მამამთილს Oთავდს ᲘᲘზილბეგს ყურადღებით, თავაზიანად და პატივისცემით.

ᲘᲘზილბეგიც მალე გაჰყვება თავის მეუღლის კვალს. რჩებიან მხოლოდ ჩვენი ორი გმირი: Oამშუდ და Eსმა-ხანუმ; მათი ცხოვრება უწინდებულად მიმდინარეობს თანხმობით და მშვიდობიანად.

Oამშუდ საზოგადოდ მცირე ხნით რჩება შინ. ზამთარში სანადირო დადის, ჰხოცს ველურს თხებს, ირმებს, იჭერს კვერნებს, დაიარება სამეგრელოში, Bურიაში და Iმერეთშა თავისი ანუ სხვის საქმისათვის, ხშირად უმიზეზოდაც. Aგრეთვე საზოგადო საქმეებში ღებულობს მონაწილეობას და დადის სასამართლო ადგილებში მოწამედ, ანუ მომჩივრად.

Oოლი ჰლებულობს სტუმრებს, თითონაც დაიარება სტუმრად სრულის კრებით, განკარგულებას იძლევა საოჯახო საქმეებში, უკერავს ტანისამოსს თავის ქმარს, რომელიც გაჭირების დროს გადაიფენს თავის გმირულ ბეჭებზედ კოჭტას, ანუ ბურნუსს თავის ცოლისას და ისე მივა სამსაჯულო ადგილებში. Eსმა-ხანუმ თითონ უვლის აბრეშუმის ჭიას, თითონ ჭკრეფს პარკებს, თითონ იღებს ყაჭს და ამზადებს აბრეშუმს.

Oავის მოახლეებს Eსმა-ხანუმ სიყვარულითა და ალერსით ეპყრობა; და ისინიც, თუმცა გლეხ-კაცის წოდებისანი არიან, თავისუფლად ესაუბრებიან თავიანთ ქალბატონს, რჩევაში ერევიან და ისე დაჩაგრულნი არ არიან ფიზიკურად და ზნეობით, როგორც საქართველოში და სამეგრელოში; შეუძლიანთ გათხოვდენ კიდეც, მაგრამ მათი ქმრები აძლევენ ხარჯს მეპატრონეთა.

Eსმა-ხანუმს ეყოლა რავდენიმე ვაჟიშვილი, ოგინი ყველანი მაჰმადის, ანუ უმჯობესად ვთქვათ, წარმართის აღსარებისანი არიან. მაგრამ დედა იმასაც ჰფიქრობს, რომ რომელიმე დიდ კაცის წყალობით ისარგებლოს გაჭირვების დღეს და უგზავნის სამეგრელოს ანუ Iმერეთის ეპისკოპოსს უმცროსს ვაჟიშვილს მოსანათლავად და ქართული წერა-კითხვის შესასწავლებელად.

როდესაც ქმარი Eსმა-ხანუმისა სხვაგან არის, მაშინ ცოლი სასამართლო ადგილებშიაც აწარმოვებს საქმეებს.

Eრთ დღეს Eსმა-ხანუმმა ვერ მოასწრო საოჯახო განკარგულების მოხდენა და იმ დროს მოვიდა მასთან აფხაზი და მოახსენა, რომ გარჩევა მისი ქმრის საქმისა სასოფლო სასამართლოში სხვა გვარ მიმართულებას ჰლებულობს, სრულიად საეჭველად თავადისა.

— მომგვარეთ ცხენები! შესძახებს Eსმა-ხანუმ. Mსწრაფლ მოუმზადებენ ცხენებს, იახლება ათი ცხენოსანი და მიეღენ იმ ადგილს, სადაც საქმე ირჩევა.

Kვირა დღეს სქელ-ფოთლიან ჩინართა ჩრდილ ქვეშ შეკრებილია თითქმის მთელი სოფელი. Mოსამართლენი

ბავშვისათვის რაიმე შემწეობა, მაგრამ მამის ვედრებამაც უქმად ჩაიარა. იმ ღამეს ყმაწვილი ძლიერ ავად შეიქმნა: ავადმყოფობამ მიიღო ეპიდემიური ხასიათი. ᲓᲘᲚᲘᲗ, თუმცა ექიმი წაბრძანდა ავადმყოფთან ბევრი ვაი-ვაგლახის და ხვეწნის შემდეგ, მაგრამ რაღას უშველიდა, რადგანაც ყმაწვილმა გრძნობა დაჰკარგა და მის მორჩენა არამც-თუ ამ ჩვენს ექიმისათვის, არამედ დოქტორი ქოხიც, რომ მოგვეწვია, იმისთვისაც შეუძლებელი იქნებოდა. წარმოიდგინეთ საწყალი მამის მდგომარეობა, რომელსაც მოჰკლომია ერთად-ერთი შვილი! სამწუხარო მოვლენაა, მით უმეტეს, რომ დროზედ რო მისცემოდა შემწეობა, იქნება გადარჩენილიყო სიკვდილისაგან.

სასწავლებელის სამმართველომ რა ჰქნას, როდესაც ამ მაზრაში მეტი ექიმი არ მოიპოვება! სასწავლებელს ჰყავდა ერთი კარგი გამოცდილი ფერშალი რომელმაც თავისი ბეჯითი და ნაყოფიერი სამსახურისათვის სახელი დაიმსახურა არამც-თუ სასწავლებლის წინაშე, არამედ მთელი სენაკის მაზრაში. ჩვენმა ექიმმა რა დაინახა, რომ ასე დაუმსახურნია სახელი ამ მაზრაში, თავის პიროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, უჩივლა ფერშალს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან, რომ მას არ აქვსო ოფიციალური უფლება ფერშლობისაო და არ მიუღია სწავლად სპეციალურს სკოლაშიო; შაგრამ ბ. ექიმს დავიწყებია, რომ სასწავლებელის გარეთაც შესაძლებელია სწავლის მიღება! ბ. ექიმს აუსრულდა თავისი წადილი, რადგანაც ეხლანდელს დროში ყოველ-გვარი სამსახური დამყარებულია ოფიციალურს უფლებაზედ, და ხსენებულს ფერშალს ალუკრძალეს ფერშლობა. ასე ამ ნაირად, წაართვა ამისთანა სასარგებლო კაცი ბ. ექიმმა არამც-თუ სასწავლებელს, არაშედ მთელს ჩვენს მაზრას და ეს მაზრა პატარა მაზრა არ არის, ასე რომ არამც-თუ ერთი, ოთხიც რომ იყოს ექიმი, მაინც საკმაო არ იქმნება. ამ ჩვენს ერთს ექიმს დარჩენია ბურთი და მოედანი ექიმობის ასპარეზზედ და დაუწყია ვაჭრობა. მოვა ეინმე გლეხი მასთან, უნდა იცადოს რამოდენიმე საათი, სანამდის ჩაის მიირთმეედეს: მერმე დაუწყებს ვაჭრობას და თუ ვერ მოურიგდა, საწყალი გლეხი, რომელსაც გამოუელია რამდენიმე ვერსი, ბრუნდება სახლში უნუგეშოდ და ხედავს თავის ავადმყოფს უკიდურესს მდგომარეობაში; თუ ღმერთმა ჰქნა და მოხდა მორიგება, მიდის რამოდენიმე დღის შემდეგ, მაგრამ ავადმყოფს თავისი ემართება. დასამტკიცებელად იმისა თუ როგორ ცუდად ექცევა ბ. ექიმი ხალხს, მოვიყვან შემდეგს მაგალითს: ერთმა მამასახლისმა მიმართა ბ. ექიმს ტირილით, რომ მიეცა შემწეობა იმის ავადმყოფის შვილისთვის, მაგრამ ყოველ-გვარი მისი ხვეწნა დარჩა უყურადღებოდ, რადგანაც ვერ მორიგდენ სნეულის მამა და ექიმი ფულზე. მაშინ მამასახლისმა მიმართა პოლიციის პრისტავს ბ. ქ—ძეს, რომ უკანასკნელს ეხმარა რაიმე ღონის-ძიება მისი საწყალი შვილისთვის. პრისტავმა მაშინვე დაიბარა ის ფერშალი, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და სთხოვა, რომ წასულიყო ავადმყოფთან და ეწამლა. ფერშალი დათანხმდა და კიდევაც მოარჩინა გაჭირვებული ავადმყოფი. ერთს სოფელში მოკვდა გლეხის ორსული ცოლი, რომელთანაც ბ. ექიმი არ წავიდა და არც ბებია გაუშვა. ამისთანა შემთხვევა ბევრი მოხდა, მაგრამ საკმაო არის ესენიც, რომ დარწმუნდეს მკითხველი ბ. ექიმის უვარგისობაში. ეხლავე თუ არ შეუდგა თავდარიგს ჩვენი მაზრის საზოგადოება და არ მოიპოვა იმისთანა ექიმი, რომელმაც არ დაიზაროს ავადმყოფებთან წასვლა და არ დაიწყოს ბევრი ფულის თხოვნა მაშინ, როდესაც კაცს სული ხდება, ეს წელი ბევრს იმსხვერპლებს, რადგანაც სხვა-და-სხვა-ნაირი ეპიდემია ბევრგან არის გახშირებული.

პრ. ნ. დი...

უცხოეთი

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. როგორც სამზღვარ გარეთის აგრეთვე რუსული გაზეთების ფურცლებზე ამ ჟამად უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი ინგლისის ამბებს. კორესპონდენციები კორესპონდენციებზე იბეჭდება უკანასკნელ აფეთქებათა და ინგლისის მმართებლობის განკარგულებათა გამო. როდესაც ლონდონის დიდს კომშში მოხდა აფეთქება, პოლიციამ დახურა კარები ამ კომშისა და იმ დროს კომშში მყოფთ სათითაოდ უშვებდა გარეთ, რომ ამ ზომით შესძლებოდა ყველა დამსწრეთ დაწერილებით გასინჯვა. ეს ზომა ძალიან მოხდენილი გამოჩნდა, რადგან იქვე იმ დღეს დაატუსაღეს ერთი პირი, რომელმაც ფრიად საყურადღებო ჩვენება მისცა სამსჯავროს. ეს პირი, რომელმაც თავს ქენინგამი უწოდა, მისულა ამერიკიდამ. ნიუ-იორკში დაუყვია მას ხუთი წელი და აქ ამ ხანში დაუმთავრებია სრული კურსი ჯოჯოხეთის მაშინის და დინამიტის მომზადებისა. ოლდონოვან როსისა და რუსის პროფესორის (?) მეცნიეროვის ხელმძღვანელობის ქვეშ. დატუსაღებამდის ამ ქენინგამს არა ერთ გაზეთის რეპორტიორთან ჰქონია საუბარი დინამიტზე და ჯოჯოხეთის მაშინაზე და მხოლოდ ეხლა იბეჭდებიან სხვა-და-სხვა გაზეთებში ეს საუბარნი. სან-ლუიში ჩვენ, მოდინამიტეთა, სკოლა გვაქვსო—უთქვამს სხვათა შორის ქენინგამს ერთ რეპორტიორთაგანისათვის. ქვირაობით ამ სკოლაში დანიშნულია ლექციების კითხვა დინამიტზე და მისს ხმარებაზე და საქმე დღეც მუდამ სხდომები გვაქვსო. სკოლასთან არის სახელოსნო, საიაც მზადდება დინამიტი და ჯოჯოხეთის მაშინა და შემდეგ ნიუ-იორკში იგზავნება. ხელოსნებმა ზედ-მიწევნით იციან პრაქტიკული მეხანიკაო. ᲧᲕᲔᲚᲐ სკოლაში მოსიარულენი ფიცით ვართ შეკრულნიო. ᲗᲐᲕᲓᲐ პირველად ქენინგამი სამსჯავროს უთავ-ბოლო ჩვენებას აძლევდა, არ გატყდა, რომ დამნაშავეა, მაგრამ დატუსაღების მეორე დღეს სამსჯავრომ შეიძინა ფრიად საბუთიანი ცნობანი. მთელი პირველი ღამე, დატუსაღების შემდეგ, დამნაშავეს მიუჩინეს საუკეთესო და დახელოვნებული გამომძიებელნი. ესენი შეჰპირდენ დამნაშავეს აუარებელს ჯილდოს და სრულიად განთავისუფლებას სასჯელისაგან. ქენინგამმა იმედი მოიცა და ყველაფერში გატყდა. ამ ჩვენებათა მიხედვით მიღებულ იქმნა ახალი ზომები: ამიერიდამ, როგორც ყოველს მატარებელს აგრეთვე გემს, განსაკუთრებით ირლანდიიდამ მოსულს უნდა გაჰყენენ-გამოჰყენენ საიდუმლო აგენტები პოლიციისა. ამ ჩვენებისავე შემდეგ შესანიშნავად მიუმატეს მცველთა რიცხვი ყველა მმართებლობის შენობათა.—200,000 მან. დაუჯდებაო მთავრობას შეკეთება ვესტმინსტერის შენობისა. ზარალი-კი ისტორიული, ძველი ნივთებისა ფულად დაუფასებელია. ამ აფეთქებათ ბევრის მხრით მოჰყვა ცუდი შედეგი და ერთი ამათთაგანი ის არის, რომ ამ ჟამად ლონდონის ქუჩები სავსეა უსაქმოდ დარჩენილი მუშა ხალხით. 5,000 მუშა ირლანდიელი დაუთხოვნიათ ინგლისელებს სხვა-და-სხვა სამსახურიდამ და ეს მ'ბიერი ხალხი დემონსტრაციას ახდენს ლონდონში.

ლონდონიდამ სწერენ ფრანცუზულ გაზ. „Temps"-ს რომ ლონდონის ფოსტის სამმართველოს უფროსს მისვლია უსახელო ბარათი, რომლითაც აცნობებდენ მას, რომ ამა-და-ამ ღამეს ლონდონის ცენტრალური სა-

---

სხედან და რაღაზედაც ღრმად ჩაფიქრებულან. მოჩივარნი და მოპასუხენი ფეხზედ დგანან ჯოხებზედ დაყრდნობილნი და ხშირად იფურთხებიან აქეთ იქით, თითქო ნერწყვი უშლიდეს მათ მჭევრ-მეტყველებას. მოწმებიც ფეხზედ დგანან და ყურს უგდებენ. ᲧᲝᲕᲔᲚᲡ მოჩივართა თუ მოპასუხეთა კითხვაზედ მოწამენი მოკლედ უპასუხებენ: „ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲜ, ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐ."

როდესაც სრულს გარემოებას მოისმენენ მოსამართლენი, დაიწყებენ თავიანთ შორის რჩევას საკმაოდ დიდს ხანს და შემდგომ ერთი მათგანი გამოაცხადებს განჩინებასა.

როგორც დაინახეს თავადის მეულლე ესმა-ხანუმ, მოსამართლენი და ხალხი ადგნენ ყველანი თავიანთ ადგილებიდგან, მოიკითხეს და შემდგომ ჰსთხოვეს დაბრძანება შესაბამ ადგილზედ.

შემდგომ ჩვეულებრივის გამოკითხვისა სხვა-და-სხვა ახალის ამბისა, ესმა-ხანუმ შეუდგება საქმეს და ჰსთხოვს ყურადღებასა მოსამართლეთა და ხალხსა.

იწყებს ლაპარაკს ძლიერ თავაზიანის და ზრდილის სიტყვებითა და აქებს მოსამართლეთა ღირსებას და მათს პირუთვნელ სამართალსა; შემდგომ გამოაცხადებს თავის მწუხარებას, რომ მის ქმარს, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, თვით ვერ მოუხდა პასუხის მიცემა თავის საქმეზედ; ბოლოს სთხოვს მათ, რომ ნება მისცენ წარმოსთქვას სიტყვა თავის სასარგებლოდ.

შეიქნება საზოგადო დუმილი.

ესმა-ხანუმ წელში გაიმართება და სცდილობს საზოგადოებისა და მოსამართლეთა მოხიბლვასა, რაისათვისაც უხვად ჰფენს მარჯვნივ და მარცხნივ ქებასა. როდესაც შეატყობს, რომ ხალხის გული მოგებულია და მოსამართლენი ძირს არ იხედებიან (ეს ცუდი ნიშანი იქმნებოდა მისთვის), ესმა-ხანუმ შეუნიშნავად შეეხება თავის საქმესაც; იგი მოსთელის და წარმოუდგენს აურიცხველ საბუთებს თავის სასარგებლოდ. არ ივიწყებს არც ერთს სიტყვას და დაწერილებით, მშვენიერად ლაპარაკობს თავის საქმის გასამართლებელად. როდესაც დაასრულებს საჩივარს, უეცრივ მიუბრუნდება თავის მოწმებსა და ჰკითხავს.

— ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲜᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲔ ᲕᲗᲥᲕᲘ?

— ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲘᲐᲮ,—იძახიან მოწმები და ხალხი.

— ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲛᲝᲛᲣᲗᲮᲠᲝᲗ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲩᲔᲛᲜᲝ ᲫᲘᲠᲘᲤᲐᲡᲜᲝ?

— ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲗ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲗ,—ᲰᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲐᲚᲚᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲮᲐᲚᲮᲘ.

მოსამართლენი მისცემენ სიტყვას მოპასუხესაც. შემდეგ ბაასისა, დიდ ხანს არ ანდომებენ რჩევას და გამოიტანებენ განჩინებას სასარგებლოდ ესმა-ხანუმისა.

ᲐᲡᲔ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲜᲘ.

ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲛᲔ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲓᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲜᲔᲜ. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲛ ᲓᲦᲔᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲮᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲥᲕᲡᲗ—ᲡᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ, ᲡᲐᲘᲐᲪ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ. ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲛᲐ ᲖᲔᲓ-ᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲮᲐᲜᲘᲙᲐᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲘᲐᲠᲣᲚᲔᲜᲘ ᲤᲘᲪᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲜᲘᲝ. ᲗᲐᲕᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲥᲔᲜᲘᲜᲒᲐᲛᲘ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲣᲗᲐᲕ-ᲑᲝᲚᲝ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ, ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲛᲘᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲜᲘ. ᲘᲡᲔᲜᲘ ᲨᲔᲰᲠᲓᲔᲜ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ. ᲥᲔᲜᲘᲜᲒᲐᲛᲛᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ. ᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ: ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ Ა�გᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲒᲔᲛᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲡᲣᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲰᲧᲝᲤᲔᲜ-ᲒᲐᲛᲝᲰᲜᲔᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲡᲐ. ᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲕᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲣᲛᲐᲢᲔᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲗᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐᲗᲐ. — 200,000 ᲛᲐᲜ. ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲑᲐᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲕᲔᲡᲢᲛᲘᲜᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ. ᲖᲐᲠᲐᲚᲘ-ᲙᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲤᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲐᲛ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲗ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲐᲗᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲐ ᲣᲡᲐᲥᲛᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ. 5,000 ᲛᲣᲨᲐ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲮᲝᲕᲜᲘᲐᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲔᲡ Მ'ᲑᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ ᲬᲔᲠᲔᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚ ᲒᲐᲖ. „Temps"-Ს ᲠᲝᲛ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲐ ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲗᲐᲪ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲓᲔᲜ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐ-ᲓᲐ-ᲐᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐ-

---

ᲘᲒᲠᲫᲜᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲗ, ᲗᲣ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲐᲓ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, — ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲥᲕᲔᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲕᲔᲣᲚᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲔᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲝᲑᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲢᲔᲕᲔᲑᲡ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲬᲠᲤᲔᲚᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ „ᲛᲐᲗᲗᲐ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲐᲦᲬᲠᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲝᲜᲬᲘᲐ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

ფოსტო ბიურო უნდა აიფეთქოსო. აფეთქების მომხდენი იქნება ქალუ-რად გადაცმული კაცი. — ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲡᲐᲡ გაზეთში დაბეჭდილია წერილი, სადაც განმარტებულია პლანი, რო-გორ უნდა გადიწვას მთელი ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. წერილის დამწერის აზრით საკმაოა მხოლოდ ორმოც-და-ათი კაცი დავასახლოთ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ სხვა და-სხვა კუთხეში და ებრძანოსთ მათ ერთად ერთს დღეს, ერთს საათს წაუკიდონ თავიანთ სადგომს ცეცხლი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(,,ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ'')

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ 29-Ს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია კონტროლის დაწესება კერძო რკინის გზების ანგარიშთა მსვ-ლელობაზე. კონტროლს შემოიღებენ გამოსაცდელად ორი წლის ვადით ბალტიის, ლოზოვო-სებასტოპოლის და მოსკოვო-ბრესტის რკინის გზებზე.

გამოცხადებული არის, რომ თბილისის კადეტთა კორპუსის პანსიონში დაწესდეს სტიპენდია იმ ფეოლების სარგებლიდან, რო-მელიც შესწირა გენერალ ადიუ-ტანტმა ვრანგელმა მე 84 შირვა-ნის პოლკში მოსამსახურეთა შვი-ლების აღსაზრდელად.

ᲕᲔᲜᲐ. მმართებლობამ კანონ-პროექტი შეიტანა რეიხსრატში, მეშების ავადმყოფობისაგან დაზ-ღვევის თაობაზე.

ᲙᲐᲠᲘᲪᲘ. გეშინ სალამოს ასი უმაწკილი კაცი შეცვინდა იარა-ღის მაღაზიაში ლა-ჭონტენის ქუ-ჩაზე, წაიღეს რამდენიმე თოფი და რევოლვერი და დაამსხ-ვრიეს ოპტიკური მაღაზიის ფან-ჯრები პუასონიერის ბულვარზე. წინამძღოლი და ოცდა ათი მოჩ-ხუბარი დაატუსაღეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. შაბათიდან დაიწყე-ბა ჯარების გაგზავნა ინგლისი-დან სუაკიმში. ბომბეიდანაც ჰგზა-ვნიან ჯარებს. სუაკიმიდან იწე-რებიან, რომ ოსმან-დიგმამ 10,000 ჯარის კაცამდინ შეაგროვა თავის ბანაკში ტიმაიაშიო.

ᲝᲢᲐᲕᲝ. კანადის მმართებლო-ბა აპირებს, რომ ლონის-ძიება მიიღოს ინგლისის სამტროდ მო-მართულ მოდინამიტეების შეთქმუ-ლობათა წინააღმდეგ.

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ 30-Ს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. აღკრძალულია გაზეთის ,,Эхо''-ს ცალკე ნომ-რობით გაყიდვა.

,,ს.-პეტერბურგის უწყებები'' ამ-ბობენ, რომ ვილნოს კათოლიკეთ ეპისკოპოსი გრინევეიცი, რომე-ლიც გამოწვეული იყო პეტერ-ბურგში იმის საკითხავად თე რად მოიქცა იგი უზდელად და მტრე-ლად რუსის მთავრობისადმი, გა-დაყენებულ იქმნა ვილნოს ეპარ-ქიის გამგებლის ადგილიდამ და გაიგზავნა გუშინ იაროსლავში სა-ცხოვრებლად პოლიციის ზედა-მხედველობის ქვეშე. გაზეთის ,,Свѣтъ''-ის სიტყვით გრინევეიც-კის დაენიშნა წელიწადში ორი ათასი მანათი.

,,ს.-პეტერბურგის უწყებები'' ამბობენ, რომ განზრახვა აქვთ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს შეუერთონ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. როდესაც რეიხსტაგ-ში ლაპარაკი იყო კანონ-პროექტ-ზედ შესახებ ხორბალზედ ბაჟის მომატებისა ბისმარკმა სთქვა, რომ განსაკუთრებული აზრი ამ ლონის-ძიებისა არის ეროვნული ინტერე-სების დაცვა და მეურნეობისადმი ხელის შეწყობა; ხე ტყეზედ ბაჟის დადება კი საჭირო არის ტყის გაშენებისათვის გერმანიაში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. უილსონი გადარ-ჩენილა; იგი მოვიდა გუბათში და მოიტანა გორდონის სიკვდილის ამბავი, რომელიც მამხდარა თე-ბერვლის 4-ს (ახალ. სტ.) ხარ-თუმის აღების დროს. გორდონი გუბერნატორის სახლში შეფარე-ბულა და იქ მოუკლავთ აჯანყებე-ლებს. გენერალი ნიუდეგეტი დაი-ნიშნა იმ ჯარების უფროსად, რომელნიც სუაკიმში გროვდებიან და ბერბერით უელსლეის უნდა შეეერთდენ. სუაკიმის რაზმის მო-ქმედება მარტის ნახევარში დაიწ-ყობა. აზრათა აქვთ 10,000 რე-ზერვის ჯარი თოფ ქვეშ დააყე-ნონ.

ᲡᲐᲜᲘᲦᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ბ-ᲜᲘ ᲔᲕᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-სებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-ღებული არის მცხოვრებთა შეღავა-თისათვის ღამლამობით მორიგად ყოფ-ნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ:

ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ, ორშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐ, სამშაბათობით და შა-ბათობით.

ᲛᲔᲚᲘᲥ-ᲤᲐᲠᲐᲓᲐᲜᲝᲕᲘ, ოთხშაბა-თობით და პარასკევობით.

ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ:

ᲤᲘᲚᲩᲐᲙᲝᲕᲘᲡᲐ, სამშაბათობით.

ᲑᲐᲒᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ორშაბათობით, და პარასკევობით.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ᲚᲝᲥᲨᲘᲡᲐ. ხუთშაბათობით და კვირაობით.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ 9 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ᲓᲐ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. ღამ.)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲕᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡᲐ

გოლოკინის პროსპექტზე, ფოსტის შენობის მახლობლად.

ბაღებულია სანახავად საზოგადოე ბისაგან დილის 10 საათიდამ საღამოს ათამდის.

მხოლოდ მოკლე ხნით რჩება თბილისში.

შესვლის ფასი ყველა განყოფილე-ბაში და ანატომიურს კაბინეთში შემ-ცირებულია აბაზამდის; ბავშვები და მხედრობის დაბალი ჩინები იხდიან ორს შაურს. (2 — 2)

მსურველს შეუძლიან შეიძინოს გაზ. „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ 1882, 1883 და 1884 და აგრეთვე გაზ. „ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲘᲐ“-ს 1884 წ.წ. სრული ეგზემპლიარები 20 მან. ,,ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ'' ადმინისტრა-საგან, (5 — 1)

UN FRANÇAIS

Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.

S'adresser: Librairie Boerenstamm (10 — 5)

ᲯᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲢᲝᲢᲔᲑᲘ.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდეკ შემდეგი ნივ-თები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტა-ლის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სა-მაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგ-ლებითა, ფანდისი, დასადგმელი, ბირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშერი თებშები, ბღიუდები, სასალათეები, ტაშ-ტები, სარძეკვეები, სამარილეები, ბარი-ტის სიფხვეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ადვირები, ხლისტები, ტახისა-მოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატ-ლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რეკოლვერები, პიუები, ზა-რიადები, კაპსიულები, ხიფანგები, ნიჩ-ბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურა-ბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100 — 81)

SOCIÉTÉ FRANÇAISE DE BIENFAISANCE

BAL

Paré et costumé

Donné le lundi, 4 fevrier dans la salle du Kroujok au profit des pauvres de Tiflis et de la Caisse de la société française de Bienfaisance.

Prix d'entrée

Dames: — — — 2 roubles
Cavaliers — — — 3 roubles

On trouve des billets à la caisse pu Kroujok et dans tous les magasins français.

ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲑᲐᲚᲘ

ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ იქნება ორშაბათს, თე-ბერვლის 4-ს კრუჟოკის ზალაში თბი-ლისის ლარიბებისა და ფრანცუზების საქველმოქმედო საზოგადოების კასის სასარგებლოდ.

ᲤᲐᲡᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ:

ქალებისათვის — — 2 მანათი
ავალრებისათვის — 3 მანათი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კრუ-ჟოკის კასაში და ყველა ფრანცუზების მაღაზიებში. (5 — 3)

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Января 1885 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲠ. ᲥᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ Ბ. ᲭᲐᲠᲗᲝᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ